საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№ 446 2021 წლის 23 მარტი ქ. თბილისი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისაგან COVID-19-ის ვაქცინის დონაციის სახით მისაღებად განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის გასაფორმებელი „COVID-19-ის ვაქცინის დონაციის მიღების შესახებ ვალდებულებათა დოკუმენტი“ (შემდგომში – დონაციის დოკუმენტი) და მასში გათვალისწინებული დახმარების მიღების პირობები.

2. დონაციის დოკუმენტზე საქართველოს მთავრობის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო).

3. ამ განკარგულებაზე თანდართული მასალები მიჩნეულ იქნეს კომერციულ საიდუმლოებად.

4. დაევალოს სამინისტროს:

ა) ამ განკარგულებით გათვალისწინებული დონაციის ფარგლებში გამოყოფილი დახმარების საქართველოში ტრანსპორტირებისა და შემოტანის/დაშვების მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარება;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ან მის მიერ აღიარებული მკაცრი მარეგულირებელი ორგანოს (SRA) მიერ მინიჭებული გამოყენების (მათ შორის, გადაუდებელი გამოყენების) ავტორიზაციის ან პრეკვალიფიკაციის შემდგომ, დონაციის გზით მიღებული ვაქცინის გამოყენებისა და დანერგვის პროცესის უზრუნველყოფა.

5. დაევალოთ საქართველოს საგარეო საქმეთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებს, ხელი შეუწყონ ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დონაციის დოკუმენტის ფარგლებში საქონლის დროული და შეუფერხებელი ჩამოტანისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებას (მათ შორის, საქონლის ტრანსპორტირების მიზნით საჭირო მოლაპარაკებების/კომუნიკაციის წარმოებას).

6. დონაციის დოკუმენტის ხელმოწერამდე ან ხელმოწერის შემდეგ შესაბამისი პირობების დაზუსტება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ან შეთანხმების მოქმედებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების კორექტირება გადაწყდეს სამინისტროსა და დონორს შორის შეთანხმებით, საქართველოს მთავრობასთან დამატებით შეთანხმების გარეშე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**